

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია



2021 წელი

31 ოქტომბერი, 2021 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა  
(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

## დღის წესრიგი

11:00 - 12:00 სთ:

მოსამართლეთა რეგისტრაცია

12:00 - 17:00 სთ:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ანგარიშის მოსმენა
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშის მოსმენა
3. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა
4. სამოსამართლო ეთიკის წესების განახლება *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*
5. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილების შეტანა *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*
6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა *(იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3 - ის უმრავლესობით).*
7. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა *(სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. კანდიდატად არ შეიძლება დასახელდეს პირი, რომელსაც უკავია ან ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, ასევე - პირი, თუ მას ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3 - ის უმრავლესობით).*

## **8. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა**

*(დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა, დამოუკიდებელი საბჭოს წევრად არჩევისთანავე შეუწყდება აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*